2025

გამწვანების პროექტის შეთანხმების წესი

დოკუმენტი მომზადებულია არასამთავრობო ორგანიზაციის „გარემო და განვითარების“ მიერ „მწვანე და რეკრეაციული სივრცეებისთვის გამწვანების სტანდარტების შემუშავება“ პროექტის ფარგლებში გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფინანსური მხარდაჭერით.

შინაარსი

შესავალი 3

ტერმინთა განმარტება 3

გამწვანების პროექტის წარდგენა 6

I. განაშენიანების დეტალური გეგმა 6

II. მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მიღება 6

III. მშენებლობის ნებართვის მიღების ეტაპი 9

გამონაკლისები 10

მნიშვნელოვანი შენიშვნები 11

მუნიციპალიტეტის მიერ განსაზღვრულ მწვანე ნარგავთა სია 11

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობებისა და გამწვანების პროექტის შეთანხმების პირობების დამკიცებისას გასათვალისწინებელი საკითხები 13

დანართი №1: [მუნიციპალიტეტის დასახელება] მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობების სია 13

დანართი №2: [მუნიციპალიტეტის დასახელება] მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამწვანების პროექტის შეთანხმების პირობები 14

შესავალი

2023 წელს საქართველოს პარლამენტმა ცვლილებები შეიტანა "საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში", რომლის საფუძველზეც ცვლილებები შევიდა „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებაში და მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში, საწყისი ეტაპიდან, სავალდებულო გახდა გამწვანების კომპონენტის გათვალისწინება და შესაბამისად, მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში წარსადგენ დოკუმენტებში დაემატა გამწვანების პროექტის, როგორც თანამედროვე, გარემოსდაცვითი სტანდარტების მქონე დოკუმენტის, წარდგენის საჭიროება.

ეს დოკუმენტი წარმოადგენს სახელმძღვანელოს გამწვანების პროექტის მომზადებისა და შეთანხმებისთვის. იგი განკუთვნილია როგორც მუნიციპალიტეტის თანამშრომლებისთვის, ასევე მშენებლობის ნებართვის მაძიებლებისათვის, ასევე აღნიშნული საკითხით დაინტერესებული პირებისათვის.

ტერმინთა განმარტება

1. **გამწვანების პროექტი** - სამშენებლო ტერიტორიაზე დაგეგმილი გამწვანების სივრცის მოწყობის პროექტი, რომელიც შედგენილია გამწვანების ექსპერტის მიერ და რომელიც მოიცავს: არსებულ მწვანე ნარგავებს; მერქნიან მცენარეებს (ხეები და ბუჩქები); არამერქნიან მცენარეებს; საკომპენსაციო რგვის გეგმას; ახალი ნარგავების გაშენების გეგმას.

გამწვანების პროექტი უნდა მოიცავდეს დაგეგმილი გამწვანების შესახებ საერთო მონაცემებს. გამწვანების პროექტის შესაბამის ორგანოებთან შესათანხმებლად, ზემოაღნიშნული პროექტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

- გამწვანების პროექტის პირველ ეტაპზე წარმოდგენილი უნდა იყოს მწვანე ნარგავების აღწერისა და მათი ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემული საექსპერტო დასკვნა, რომელიც მომზადებული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის (ექსპერტის) მიერ. ექსპერტთა სიის განსაზღვრის უფლებამოსილება აქვს თითოეულ მუნიციპალიტეტს ინდივიდუალურად.
- საექსპერტო დასკვნაში მითითებული უნდა იყოს რეგისტრირებული ნაკვეთი და დაურეგისტრირებელი ტერიტორია[1], რომელიც შედის საპროექტო არეალში.
- მწვანე ნარგავების შესწავლისა და დასკვნის გაცემის თარიღი, ადგილი (მისამართი, საკადასტრო კოდი) და საფუძველი;
- ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების საერთო რაოდენობა და შეფასებული მწვანე ნარგავების რაოდენობა;
- კვლევის ჩატარების მეთოდი;
- ინფორმაცია მწვანე ნარგავების სახეობის, მდგომარეობის, დიამეტრის (მიწის ზედაპირიდან 10 სმ სიმაღლეზე) და საჭიროების შემთხვევაში ხნოვანების თაობაზე;
- მწვანე ნარგავების ნუმერაციის მიხედვით კვლევის ამსახველი ფერადი ფოტო-მასალა (ფოტო-ფიქსაცია), რომელზეც თვალსაჩინოდ უნდა ჩანდეს საპროექტო

[1] დაურეგისტრირებელი, მაგრამ საჯარო სივრცეები, რომელიც განაშენიანების დეტალური გეგმის არეალში გეგმარდება, მაგალითად ქუჩები.

ტერიტორიაზე აღწერილი თითოეული მწვანე ნარგავის ხარისხობრივი მდგომარეობა (როგორც ღერო, ასევე ვარჯი) და საექსპერტო დასკვნის შესაბამისად მინიჭებული ნუმერაცია.

- დაავადებული/წვერხმელი მწვანე ნარგავების შემთხვევაში დასკვნას უნდა ახლდეს ლაბორატორიული კვლევის ამსახველი დოკუმენტი და დასაბუთება იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა აღნიშნული ხე-მცენარე გამოჯანსაღებას;
- თითოეულ ჯანსაღ მწვანე ნარგავს ექსპერტის მიერ მითითებული უნდა ჰქონდეს ინფორმაცია ხე-მცენარის გადარგვისა და მისი გახარების შესაძლებლობის თაობაზე.
- წვერხმელი მწვანე ნარგავების შემთხვევაში განმარტებული უნდა იყოს მწვანე ნარგავის რა ნაწილია ხმელი.

საექსპერტო დასკვნა უნდა მოიცავდეს (შესაბამისი მასშტაბის), ტოპოგრაფიულ გეგმას, რომელზეც დატანილი უნდა იყოს საპროექტო ობიექტების სქემა (შენობა-ნაგებობები, გზა, მოპირკეთებული ზედაპირები ავტოსადგომი, და სხვა) და საექსპერტო დასკვნაში აღწერილი მწვანე ნარგავებს შესაბამისი ნუმერაციით, ასევე, ტოპოგრაფიულ გეგმაზე აღნიშნული უნდა იყოს საპროექტო შენობასა და მწვანე ნარგავებს შორის არსებული მანძილები.

2. **გამწვანების ექსპერტი** - გამწვანების ექსპერტის რეგისტრაცია ხდება მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი სამსახურის მიერ წინასწარგანსაზღვრული საკვალიფიკაციო კრიტერიუმებისა და დოკუმენტების საფუძველზე. შესაძლებელია მუნიციპალიტეტმა ცნოს სხვა მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ექსპერტის უფლებამოსილება;

3. **გამწვანების კოეფიციენტი (კ-3) -** მიწის ნაკვეთის ტერიტორიის ფართობის მინიმალური წილი, რომელიც:

- არ უნდა იყოს დაფარული წყალგაუმტარი მასალით
- არ უნდა მოიცავდეს შენობა-ნაგებობას ან მის ნაწილებს
- განკუთვნილია წყალგამტარიანობისა და გამწვანებისთვის

4. **ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი** – ერთბინიანი ან/და ორბინიანი (მათ შორის, ბლოკირებული სახით), ცალკე მდგომი, არა უმეტეს სამი მიწისზედა სართულის (მანსარდის გარდა) მქონე საცხოვრებელი ფუნქციის შენობა, რომელიც განკუთვნილია ერთი ან ორი ოჯახისათვის;“
5. **საექსპერტო დასკვნის წარდგენა** - საექსპერტო დასკვნა საჭიროა მიწის სამშენებლო პირობების დადგენისთვის (გაპი) და განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) მომზადების დროს. ასევე იმ შემთხვევაში, როცა მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში საექსპერტო დასკვნა წარმოდგენილი არ არის, ან სამშენებლო პირობების დადგენის და განაშენიანების რეგულირების გეგმის გაცემის შემდეგ გასულია 1 წელი და დასკვნა საჭიროებს განახლებას;
6. **ნულოვანი დასკვნა** - ნულოვანი დასკვნა წარმოადგენს ექსპერტის მიერ გაცემულ დოკუმენტს რომელიც ადასტურებს საკადასტრო მისამართზე მწვანე ნარგავის არ არსებობას;
7. **მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილება მოსაჭრელ მცენარეზე** - მცენარის მოჭრის საკითხი განიხილება იმ შემთხვევში, თუ:

   ა) მცენარე არის ხმობადი ზეხმელი ან ფაუტი

   ბ) მცენარე არის ხილკენკროვანი და ისეთი ძირის რაოდენობა, რომლის დიამეტრია 12 სმ-ზე მეტი არ აღემატება 15 ძირს

   გ) მცენარე უშუალოდ უშლის ხელს მშენებლობას ან ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს და ის არ აღემატება საკადასტრო კოდში მდებარე ჯანსაღ არახილკენკროვან დიდ ან საშუალო ტანოვან მცენარეების 25%-ს, ან ის პირდაპირ ხელისშემშლელია რომელიმე დაგეგმილი ინფრასტრუქტურისთვის (მაგ. მდებარეობს კედელთან, გზასთან და ა.შ)

8. **მცენარის გადარგვა** - მცენარის გადარგვა განიხილება იმ შემთხვევში, თუ: უფლებამოსილი პირი (შესაბამისი უფლებამოსილებით აღწურვილი მუნიციპალური სამსახურის წარმომადგენელი) ადასტურებს მცენარის გადარგვის და გახარების შესაძლებლობას. მწვანე ნარგავი ხელს უშლის მშენებლობას ან ინფრასტრუქტურულ ობიექტს და მისი დიამეტრი აღემატება 25 სმ და დაინტერესებულ პირს წარდგენილი აქვს გადარგვის მეთოდოლოგია და იმ პირის ან კომპანიისგან ხელშეკრულება, რომელიც განახორციელებს გადარგვის პროცედურებს. (გადარგვა საჭიროების მუნიციპალიტეტის ნებართვას);
9. **მცენარის გადაბელვა** - გადაბელვა წარმოადგენს ვარჯის მთლიან ან ნაწილობრივ მოცილებას. (გადაბელვა საჭიროების მუნიციპალიტეტის ნებართვას);
10. **მცენარის სხვლა-ფორმირება** - სხვლა-ფორმირება წარმოადგენს ვარჯის სუსტად გასხვლას, ხმელი ტოტების მოცილებას და მცენარის ზრდისთვის ხელშემწყობ პროცესებს. (სხვლა ფორმირება არ საჭიროებს მუნიციპალიტეტის ნებართვას);
11. **დაავადებული მცენარე** - იმ შემთხვევაში თუ მცენარე დაავადებულია, მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი პირი ან ექსპერტი აფიქსირებს დაავადების წყაროს და წარადგენს ლაბორატორიულ კვლევას და დასკვნას ექვემდებარება თუ არა მწვანე ნარგავი

განკურნებას. იმ შემთხვევაში თუ მწვანე ნარგავი განკურნებას არ ექვემდებარება მუნიციპალიტეტს უფლება აქვს იმსჯელოს არსებული ხის მოჭრის შესახებ.

გამწვანების პროექტის წარდგენა

I. განაშენიანების დეტალური გეგმა

განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავებისას:

1. კონცეფციის ეტაპზე (ზოგადი გამწვანების პროექტი):

- მწვანე ნარგავების საექსპერტო დასკვნა;
- საპროექტო ტოპოგრაფიული გეგმა გასამწვანებელი არეალებით;
- მოსაჭრელი/გადასარგავი ნარგავების ცხრილი თითოეული მიწის ნაკვეთისთვის;
- გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი საანგარიშო ფართობებთან ერთად;
- მოსაჭრელი, ჯანსაღი, ღირებული მწვანე ნარგავების რაოდენობა არ უნდა აჭარბებდეს ტერიტორიაზე არსებული ჯანსაღი ღირებული მწვანე ნარგავების 25%-ს.

2. დეტალური გეგმის ეტაპზე (სრული გამწვანების პროექტი):

- საექსპერტო დასკვნა მწვანე ნარგავების შესახებ:
  - საპროექტო ტერიტორიის იდენტიფიცირება;
  - თითოეული მცენარის დეტალური აღწერა;
  - დაავადებული/წვერხმელი მცენარეების დოკუმენტაცია.
- ტოპოგრაფიული გეგმა შესაბამისი დეტალებით;
- გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი და საანგარიშო ფართობი;
- გასაშენებელი ნარგავების სრული სპეციფიკაცია;
- მოვლა-პატრონობის გეგმა და პასუხისმგებელი პირი;
- ფოტომონტაჟი და ვიზუალიზაცია.

II. მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მიღება

გამწვანების პროექტის შეთანხმების პირველ ეტაპზე წარმოდგენილ საპროექტო ტოპოგრაფიულ გეგმაზე, დატანილი უნდა იყოს გასამწვანებელი არეალები და მოსაჭრელი/გადასარგავი მწვანე ნარგავები შესაბამისი ნუმერაციითა და პირობითი აღნიშვნებით. აღნიშნულ ეტაპზე დაინტერესებულმა პირმა უნდა წარმოადგინოს პროექტის მიხედვით მოსაჭრელი/გადასარგავი მწვანე ნარგავების შესახებ ინფორმაცია (ცხრილის სახით), საპროექტო არეალში შემავალი თითოეული მიწის ნაკვეთისთვის. გასათვალისწინებელია, რომ პროექტის მიხედვით მოსაჭრელი, ჯანსაღი, ღირებული მწვანე ნარგავების რაოდენობა არ უნდა აჭარბებდეს ტერიტორიაზე არსებული ჯანსაღი ღირებული მწვანე ნარგავების 25 %-ს. ამასთანავე, გამწვანების პროექტში მითითებული უნდა იყოს საპროექტოდ დაგეგმილი ფუნქციური ზონის შესაბამისი გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი შესაბამის საანგარიშო ფართო(ბე)ბთან ერთად.

პროექტის განხორციელებისათვის ხელისშემშლელი მოსაჭრელ/გადასარგავი მწვანე ნარგავების ცხრილის ვიზუალიზაცია

№	სახეობა	რაოდ.	D 10 სმ	D 1.3 მ	H	მდგ.	გადარგვა/ ხელკენაროვანი	წითელი ნუსხა	შენიშვნა	მშენებლობისთვის ხელისშემშლელი	ქმედება	იძულებითი ქმედება
85	კვიდო (Ligustrum sp.)	1	3.2	-	1	საღი	გადარგვადი	-	მრავალღეროიანი	ხელისშემშლელი		გადარგვა
86	კვიდო (Ligustrum sp.)	1	2.9	-	1	საღი	გადარგვადი	-	მრავალღეროიანი	ხელისშემშლელი		გადარგვა
87	კვიდო (Ligustrum sp.)	1	4.7771	1.274	2	საღი	გადარგვადი	-	მრავალღეროიანი	ხელისშემშლელი		გადარგვა
88	ფიჭვი (Pinus eldarica)	1	39.8	31.8	9	ხმობადი	-	-		არახელისშემშლელი	მოსაჭრელი	
89	ფიჭვი (Pinus eldarica)	1	41.1	35.0	9	ხმობადი	-	-		არახელისშემშლელი	მოსაჭრელი	
90	ფიჭვი (Pinus eldarica)	1	36.6	30.3	8	ხმობადი	-	-		არახელისშემშლელი	მოსაჭრელი	
91	ფიჭვი (Pinus eldarica)	1	31.8	25.5	8	ხმობადი	-	-	სურო	არახელისშემშლელი	მოსაჭრელი	
92	ფიჭვი (Pinus eldarica)	1	49.4	38.2	8	ხმობადი	-	-	სურო	არახელისშემშლელი	მოსაჭრელი	
93	ფიჭვი (Pinus eldarica)	1	33.8	28.7	8	ხმობადი	-	-	სურო	არახელისშემშლელი	მოსაჭრელი	
94	ფიჭვი (Pinus eldarica)	1	28.7	22.3	8	ხმობადი	-	-	სურო	არახელისშემშლელი	მოსაჭრელი	
95	ფიჭვი (Pinus eldarica)	1	36.6	30.3	8	ხმობადი	-	-	სურო	არახელისშემშლელი	მოსაჭრელი	
96	ფიჭვი (Pinus eldarica)	1	41.4	31.8	8	ხმობადი	-	-	სურო	არახელისშემშლელი	მოსაჭრელი	
97	კაკლის ხე (Juglans regia)	1	12.739	7.962	5	საღი	გადარგვადი	წით. ნუსხ.	სურო	არახელისშემშლელი	შენარჩუნება	
98	ფიჭვი (Pinus eldarica)	1	57.3	47.8	9	ხმობადი	-	-	სურო	არახელისშემშლელი	მოსაჭრელი	
99	ვაზი - ტალავერი (Vitis vinifera)	8	4-8	-	-	საღი	ხელკენაროვანი	-	8 ერთეული	ხელისშემშლელი		მოსაჭრელი
100	თუთა (Morus sp.)	1	7.0	5.4	3	საღი	გადარგვადი	-		ხელისშემშლელი		გადარგვა
101	ხურმა (Diospyros kaki)	1	19.1	16.6	7	საღი	ხელკენაროვანი	-		ხელისშემშლელი		მოსაჭრელი
102	ვაშლი (Malus domestica)	1	8.0	4.8	3	საღი	ხელკენაროვანი	-		ხელისშემშლელი		მოსაჭრელი
103	კომში (Cydonia oblonga)	1	5.4	3.2	3	საღი	ხელკენაროვანი	-		ხელისშემშლელი		მოსაჭრელი
104	დაფნა (Laurus nobilis)	1	12.1	9.6	5	საღი	გადარგვადი	წით. ნუსხ.		ხელისშემშლელი		გადარგვა
105	ტყემალი (Prunus cerasifera)	1	28.0	22.3	6	საღი	ხელკენაროვანი	-		ხელისშემშლელი		მოსაჭრელი
106	ლეღვი (Ficus carica)	1	5.4	3.8	3	საღი	ხელკენაროვანი	-	სურო	ხელისშემშლელი		მოსაჭრელი
107	ლეღვი (Ficus carica)	1	6.4	3.2	3	საღი	ხელკენაროვანი	-	სურო	ხელისშემშლელი		მოსაჭრელი
108	ტყემალი (Prunus cerasifera)	1	4.8	3.2	3	საღი	ხელკენაროვანი	-		ხელისშემშლელი		მოსაჭრელი

1. ექსპერტის დასკვნა

საექსპერტო დასკვნა წარმოადგენს გამწვანების პროექტის უმნიშვნელოვანეს ნაწილს და უნდა მოიცავდეს:

ა) მწვანე ნარგავების აღწერას და ხარისხობრივ შეფასებას:

- ❖ საპროექტო ტერიტორიის იდენტიფიცირება, რომელიც შედგება შემდეგი საკითხებისგან:
    - რეგისტრირებული ნაკვეთის მონაცემები;
    - დაურეგისტრირებელი ტერიტორიის აღწერა;
    - კვლევის ჩატარების თარიღი, ადგილი და საფუძველი;
    - საკადასტრო კოდი.
- ❖ თითოეული მცენარის შესახებ ინფორმაცია:
    - სახეობა;
    - მდგომარეობა;
    - დიამეტრი (მიწის ზედაპირიდან 10 სმ სიმაღლეზე);
    - ხნოვანება (საჭიროების შემთხვევაში);
    - გადარგვისა და გახარების შესაძლებლობა.
- ❖ დაავადებული/წვერხმელი მცენარეების შემთხვევაში:
    - ლაბორატორიული კვლევის დოკუმენტი (საჭიროების შემთხვევაში);
    - მწვანე ნარგავის რა ნაწილია ხმელი (პროცენტული მაჩვენებელი);
    - დასაბუთება გამოჯანსაღების შესაძლებლობაზე;
    - წვერხმელი ნაწილის აღწერა.

ბ) ტოპოგრაფიული გეგმა

- ❖ შესაბამისი მასშტაბის გეგმა, რომელზეც დატანილია:

- საპროექტო ობიექტების სქემა (შენობები, გზები, ავტოსადგომები);
- მწვანე ნარგავები შესაბამისი ნუმერაციით;
- მანძილები შენობასა და ნარგავებს შორის;
- გასამწვანებელი არეალები;
- მოსაჭრელი/გადასარგავი ნარგავების აღნიშვნა.



2. ინფორმაცია დაგეგმილი გამწვანების შესახებ

- სავარაუდო გამწვანების პროექტის აღწერა;
- მოსაჭრელი/გადასარგავი მწვანე ნარგავების შესახებ ინფორმაცია (ცხრილის სახით);
- ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების საკომპენსაციო ღონისძიებების გეგმა.

დასარგავი მწვანე ნარგავების აღწერა

გადარგული ხეები და საპროექტო დასარგავი ხეები



III. მშენებლობის ნებართვის მიღების ეტაპი

1. დეტალური გამწვანების პროექტი

- გამწვანების მინიმალური კოეფიციენტით განსაზღვრული ფართობი;
- გასაშენებელი მწვანე ნარგავების სპეციფიკაცია:
    - სახეობა;
    - ხნოვანება;
    - გარშემოწერილობა;
    - სიმაღლე.
- პროექტის დასრულების თარიღი;
- მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელი პირი;
- პროექტის ფოტომონტაჟი;
- ფოტო-მასალაზე თვალსაჩინოდ უნდა ჩანდეს საპროექტო ტერიტორიაზე აღწერილი თითოეული მწვანე ნარგავის ხარისხობრივი მდგომარეობა (როგორც ღერო, ასევე ვარჯი) და თითოეულ ფოტოზე ნათლად უნდა ჩანდეს მწვანე ნარგავების ნუმერაცია, რომელიც დატანილი იქნება მათზე.

2. საინფორმაციო დაფის მაკეტი და ფოტოსურათები შემდეგი ინფორმაციით

- გამწვანების კოეფიციენტით განსაზღვრული ფართობი;
- პროექტის ძირითადი ასპექტები და პარამეტრები;

საინფორმაციო დაფის განთავსების წესი

1. ვადა: მშენებლობის ნებართვის მიღებიდან 10 დღის ვადაში;
2. განთავსების ადგილი: არსებული საინფორმაციო დაფის გვერდით;
3. სავალდებულო ინფორმაცია:
    - გამწვანების მინიმალური კოეფიციენტით განსაზღვრული ფართობი;
    - გამწვანების პროექტის შეთანხმების თარიღი;

- გასაშენებელი მწვანე ნარგავების სრული სპეციფიკაცია;
- პროექტის დასრულების თარიღი;
- მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელი პირი;
- მოვლის ხანგრძლივობა;
- პროექტის ვიზუალიზაცია (მაკეტი ან ფოტომონტაჟი).

არსებული, გადასარგავი და საპროექტოდ დასარგავი მწვანე ნარგავების გაშენების არეალი



აუცილებელია, რომ საპროექტოდ დასარგავი მწვანე ნარგავების სახეობები შერჩეული იყოს თითოეული მუნიციპალიტეტისთვის ინდივიდუალურად, მათთვის დამტკიცებული შესაბამისი გასაშენებელი ხე-მცენარეების სიიდან.

გამონაკლისები

გამწვანების პროექტის წარდგენა არ მოითხოვება:

1. ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებისთვის;
2. იმ ფუნქციურ ზონებში მდებარე შენობებისთვის, სადაც გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი (კ-3) არ არის განსაზღვრული.

მნიშვნელოვანი შენიშვნები

1. თუ საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ხე-მცენარეებით შესაძლებელია გამწვანების მინიმალური კოეფიციენტის (კ-3) ათვისება, დამატებითი მცენარეების დარგვა სავალდებულო არ არის.
2. მოსაჭრელი, ჯანსაღი, ღირებული მწვანე ნარგავების რაოდენობა არ უნდა აჭარბებდეს ტერიტორიაზე არსებული ჯანსაღი ღირებული მწვანე ნარგავების 25%-ს.
3. საპროექტოდ დასარგავი მწვანე ნარგავების სახეობები უნდა შეირჩეს მხოლოდ მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებული გასაშენებელი ხე-მცენარეების სიიდან.

მუნიციპალიტეტის მიერ განსაზღვრულ მწვანე ნარგავთა სია

მუნიციპალიტეტის მიერ შედგენილი მწვანე ნარგავების სია უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს მთავრობის 2023 წლის 13 მარტის N513 განკარგულებით დამტკიცებულ „საქართველოს მუნიციპალიტეტებში (გარდა თვითმმართველი ქალაქებისა) მწვანე ნარგაობათა შერჩევის, დარგვისა და მოვლის პირობების განსაზღვრის შესახებ" დოკუმენტში მოცემულ ჩამონათვალს.

მუნიციპალიტეტის მიერ შემუშავებული სია უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას თითოეული მცენარის შესახებ:

1. მცენარის ქართული და ლათინური სახელწოდება;
2. გამწვანების პროექტისთვის შესაბამისი მცენარის მინიმალური მახასიათებლები, როგორიცაა:
   - გარშემოწერილობა (დიამეტრი);
   - სიმაღლე;
   - ასაკი.

3. მცენარის მინიმალური დაშორება შენობა-ნაგებობებიდან, მისი ფესვთა სისტემის გათვალისწინებით.

სასურველია, სიაში ასევე მითითებული იყოს დამატებითი მახასიათებლები თითოეული მცენარის შესახებ, კერძოდ:

- ყინვაგამძლეობა;
- ტენის მიმართ დამოკიდებულება;
- გვალვაგამძლეობა;
- ზრდის ტემპი - რამდენად სწრაფად მზარდია მცენარე;
- მდგრადობა ქარის მიმართ;
- ფესვთა სისტემის სიძლიერე.

აღნიშნული ინფორმაცია დაეხმარება მუნიციპალიტეტს, სწორად შეარჩიოს და განათავსოს მწვანე ნარგავები კონკრეტული გამწვანების პროექტისთვის, გაითვალისწინოს მათი მოვლის თავისებურებები და უზრუნველყოს ნარგავების ჯანსაღი განვითარება და გრძელვადიანი გადარჩენა. ასევე, ეს სია საშუალებას მისცემს ადგილობრივ ხელისუფლებას, ეფექტიანად დაგეგმოს და განახორციელოს გამწვანების ღონისძიებები ბუნებრივ გარემოსთან თანხვედრაში.

მუნიციპალიტეტის მიერ განსაზღვრული საპროექტოდ დასარგავი ხე-მცენარეების ექსპლიკაციის ცხრილის ვიზუალიზაცია

დასარგავი ხე-მცენარე

N	სახეობა	ღეროს დიამეტრი	ხნოვანება	სიმაღლე	მახასიათებლები	დასურათება	დასარგავი რაოდენობა
1	კავკასიური აკაკი Celtis caucasica	14 სმ-დან	5-10 წ.	3-5.5 მდე	გვალვაგამძლე ნელა მზარდი		20 ძირი
2	კავკასიური ცაცხვი Tilia begoniifolia	14 სმ-დან	5-10 წ.	3-5.5 მდე	ჩრდილის მოყვარული საშუალოდ მზარდი		20 ძირი
3	ჰიმალაის კედარი Cedrus deodora	14 სმ-დან	5-10 წ.	3-5.5 მდე	გვალვაგამძლე, სწრაფად მზარდი		30 ძირი

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობებისა და გამწვანების პროექტის შეთანხმების პირობების დამკიცებისას გასათვალისწინებელი საკითხები

დანართი №1: [მუნიციპალიტეტის დასახელება] მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობების სია

აღნინული სია უნდა შედგეს „საქართველოს მუნიციპალიტეტებში (გარდა თვითმმართველი ქალაქებისა) მწვანე ნარგაობათა შერჩევის, დარგვისა და მოვლის პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 13 მარტის №513 განკარგულების საფუძველზე და უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ სიაში კონკრეტული რეგიონისათვის მითითებულ მცენარეთა ჩამონათვალს.

1. **ხის/ბუჩქის სახეობა:**
    - ქართული დასახელება
    - ლათინური დასახელება (სამეცნიერო)
2. **მცენარის ტიპი:**
    - წიწვოვანი/ფოთლოვანი
    - მარადმწვანე/ფოთოლმცვენი
    - ხე/ბუჩქი
3. **ზრდის მახასიათებლები:**
    - საშუალო სიმაღლე ზრდასრულ ასაკში
    - ვარჯის დიამეტრი/ფორმა
    - ზრდის ტემპი (სწრაფი, საშუალო, ნელი)
4. **გარემო პირობებთან შესაბამისობა:**
    - მზისადმი მოთხოვნა (მზიანი, ნახევრად ჩრდილი, ჩრდილი)
    - ნიადაგის ტიპისადმი მოთხოვნები
    - ტენისადმი მოთხოვნები (გვალვაგამძლე/ტენის მოყვარული)
5. **გამოყენების რეკომენდაციები:**
    - ქუჩის გამწვანებისთვის
    - პარკებისა და სკვერებისთვის
    - საცხოვრებელი ეზოებისთვის
    - ხმაურისა და მტვრის ბარიერებისთვის
6. **პრიორიტეტულობის კატეგორია:**
    - მაღალი პრიორიტეტი (ადგილობრივი სახეობები)
    - საშუალო პრიორიტეტი
    - დაბალი პრიორიტეტი
7. **დამატებითი თვისებები:**

- თაფლოვანი
- ნაყოფის მომცემი
- დეკორატიული ღირებულება
- ალერგენულობა (მაღალი/საშუალო/დაბალი)

8. ხარისხის სტანდარტები სარგავი მასალისთვის:

- რეკომენდებული მინიმალური სიმაღლე
- ღეროს მინიმალური დიამეტრი
- ფესვთა სისტემის მინიმალური ზომა

9. დარგვის მანძილები და ფესვთა სისტემა:

- რეკომენდებული მინიმალური მანძილი შენობებიდან
- რეკომენდებული მინიმალური მანძილი მიწისქვეშა კომუნიკაციებიდან
- რეკომენდებული მანძილი ნარგავებს შორის
- ფესვთა სისტემის ტიპი (ვერტიკალური, ჰორიზონტალური, შერეული)
- ფესვთა სისტემის სავარაუდო გავრცელების რადიუსი
- აგრესიული ფესვთა სისტემის მქონე სახეობის აღნიშვნა

10. ზრდასრული მცენარის ფოტო-სურათი

დანართი №2: [მუნიციპალიტეტის დასახელება] მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამწვანების პროექტის შეთანხმების პირობები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. [მუნიციპალიტეტის დასახელება] მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამწვანების პროექტის შეთანხმების პირობების მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტორული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსით" განსაზღვრული განაშენიანების დეტალური გემის ფარგლებში და მშენებლობის ნებართვის გაცემის ფარგლებში შესათანხმებელი გამწვანების პროექტთან დაკავშირებული მოთხოვნების განსაზღვრა. აგრეთვე მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებით გათვალისწინებული დაგეგმილი გამწვანების (რომელშიც აღწერილია სავარაუდო გამწვანების პროექტი) დაკავშირებული მოთხოვნების განსაზღვრა.

2. ამ დადგენილების მოქმედება ვრცელდება „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტორული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსით" გათვალისწინებულ გამწვანების პროექტზე, გარდა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებისა და იმ ფუნქციური ზონისა, რომელშიც გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი განსაზღვრული არ არის.

3. გამოყენებულ ტერმინებს აქვთ „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტორული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის" მე-3 მუხლით განსაზღვრული მნიშვნელობა.

მუხლი 2. განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის ეტაპზე დასამუშავებელი გამწვანების ზოგადი პროექტი

1. განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების ეტაპზე წარსადგენი გამწვანების ზოგადი პროექტი უნდა მოიცავდეს დაგეგმილი გამწვანების შესახებ ზოგად მონაცემებს.

2. გამწვანების ზოგადი პროექტის შეთანხმების პირობები:

ა) გამწვანების ზოგადი პროექტის ეტაპზე წარმოდგენილ უნდა იქნას მწვანე ნარგავების აღწერისა და მათი ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემული საექსპერტო დასკვნა, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს ამ დადგენილების მე-3 მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრულ პირობებს;

ბ) გამწვანების ზოგადი პროექტი უნდა მოიცავდეს საპროექტო ტოპოგრაფიულ გეგმას, რომელზეც დატანილი უნდა იქნას გასამწვანებელი არეალები;

გ) გამწვანების ზოგადი პროექტის ეტაპზე წარმოდგენილ უნდა იქნას პროექტის განხორციელებისთვის ხელისშემშლელი მოსაჭრელი/გადასარგავი მწვანე ნარგავების შესახებ ინფორმაცია ცხრილის სახით, საპროექტო არეალში შემავალი თითოეული მიწის ნაკვეთისთვის ცალ-ცალკე.

დ) მოსაჭრელი/გადასარგავი მწვანე ნარგავები შესაბამისი ნუმერაციითა და პირობითი აღნიშვნებით დატანილ უნდა იქნას საპროექტო ტოპოგრაფიულ გეგმაზე.

ე) პროექტის განხორციელებისთვის ხელისშემშლელი მოსაჭრელი, ჯანსაღი, ღირებული მწვანე ნარგავების რაოდენობა არ უნდა აჭარბებდეს ტერიტორიაზე არსებული ჯანსაღი ღირებული მწვანე ნარგავების 25 %-ს.

ვ) გამწვანების ზოგად პროექტში მითითებული უნდა იყოს დაგეგმილი ფუნქციური ზონის შესაბამისი გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი/ები შესაბამის საანგარიშო ფართობ(ებ)თან ერთად.

მუხლი 3. განაშენიანების დეტალური გეგმით გათვალისწინებული გამწვანების პროექტი

1. განაშენიანების დეტალური გეგმით გათვალისწინებული გამწვანების პროექტი შედგენილი უნდა იყოს მიწის ნაკვეთის ფუნქციური ზონირების შესაბამისად, გარდა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებისა და იმ ფუნქციური ზონისა, რომელშიც გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი განსაზღვრული არ არის.

2. გამწვანების პროექტით გათვალისწინებული უნდა იყოს:

ა) გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი შესაბამის საანგარიშო ფართობთან ერთად, რომლის ათვისებაც ტერიტორიაზე უნდა განხორციელდეს მწვანე ნარგავებით;

ბ) გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობა და დახასიათება (მათ შორის, ხნოვანება, გარშემოწერილობა, სიმაღლე);

გ) არსებული, გადასარგავი და საპროექტოდ დასარგავი მწვანე ნარგავების გაშენების არეალი.

დ) გამწვანების პროექტის დასრულების თარიღი;

ე) გაშენებული მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელი პირი;

ვ) ფოტომონტაჟის სახით მოცემული გამწვანების პროექტის გამოსახულება;

ზ) დამატებითი საინფორმაციო დაფის ამსახველი ფოტოსურათები, რომელზედაც მითითებულია ინფორმაცია სამშენებლო ობიექტზე გამწვანების მინიმალური კოეფიციენტით

განსაზღვრული ფართობის ათვისების, გამწვანების პროექტის ძირითადი ასპექტებისა და პარამეტრების შესახებ.

3. გამწვანების პროექტის ფარგლებში დასარგავი მწვანე ნარგავების სახეობები უნდა შეირჩეს ამ დადგენილების დანართი №1-ის გათვალისწინებით, [მუნიციპალიტეტის დასახელება] მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი პრიორიტეტული ხე-მცენარეების სიიდან.

4. გამწვანების პროექტი უნდა მოიცავდეს საპროექტო ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების აღწერისა და მათი ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემულ საექსპერტო დასკვნას.

5. მწვანე ნარგავების აღწერისა და მათი ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემული საექსპერტო დასკვნა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

ა) გაცემული უნდა იყოს შესაბამისი ექსპერტის მიერ. ექსპერტთა სიის განსაზღვრის უფლებამოსილება აქვს მუნიციპალიტეტს;

ბ) შედგენილი უნდა იყოს „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტორული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის" მე-3 მუხლით გათვალისწინებული ტერმინების გამოყენებით;

6. მწვანე ნარგავების ხარისხობრივ შეფასებაზე გაცემულ საექსპერტო დასკვნაში მითითებული უნდა იქნეს შემდეგი ინფორმაცია:

ა) მწვანე ნარგავების შესწავლისა და დასკვნის გაცემის თარიღი, ადგილი (მისამართი, საკადასტრო კოდი) და საფუძველი;

ბ) ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების საერთო რაოდენობა და შეფასებული მწვანე ნარგავების რაოდენობა;

გ) კვლევის ჩატარების მეთოდი;

დ) ინფორმაცია მწვანე ნარგავების სახეობის, მდგომარეობის, დიამეტრის (მიწის ზედაპირიდან 10 სმ სიმაღლეზე) და საჭიროების შემთხვევაში ხნოვანების თაობაზე;

ე) მწვანე ნარგავების ნუმერაციის მიხედვით კვლევის ამსახველი ფერადი ფოტო-მასალა, რომელზეც თვალსაჩინოდ უნდა ჩანდეს საპროექტო ტერიტორიაზე აღწერილი თითოეული მწვანე ნარგავის ხარისხობრივი მდგომარეობა (როგორც ღერო, ასევე ვარჯი) და საექსპერტო დასკვნის შესაბამისად მინიჭებული ნუმერაცია.

ვ) დაავადებული/წვერხმელი მწვანე ნარგავების შემთხვევაში დასკვნას უნდა ერთვოდეს ლაბორატორიული კვლევის ამსახველი დოკუმენტი, ასეთის საჭიროებისას და დასაბუთება იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა აღნიშნული ხე-მცენარე გამოჯანსაღებას;

ზ) ჯანსაღი მწვანე ნარგავების შემთხვევაში ექსპერტის დასაბუთებული არგუმენტაცია ხე-მცენარის გადარგვისა და მისი გახარების შესაძლებლობის თაობაზე.

თ) წვერხმელი მწვანე ნარგავების შემთხვევაში - მწვანე ნარგავის რა ნაწილია ხმელი.

ი) საექსპერტო დასკვნა უნდა მოიცავდეს ტოპოგრაფიულ გეგმას, რომელზეც დატანილი უნდა იყოს საპროექტო ობიექტების სქემა (შენობა-ნაგებობები, გზა, პარკინგი, და სხვა) და საექსპერტო დასკვნაში აღწერილი მწვანე ნარგავები შესაბამისი ნუმერაციით, ასევე, ტოპოგრაფიულ გეგმაზე აღნიშნული უნდა იყოს საპროექტო შენობასა და მწვანე ნარგავებს შორის არსებული მანძილები.

მუხლი 4. მშენებლობის ნებართვის მისაღებად წარდგენილი სანებართვო განაცხადისთვის თანდართული გამწვანების პროექტი

1. მშენებლობის ნებართვის მისაღებად წარდგენილი გამწვანების პროექტი უნდა მოიცავდეს:

ა) განაშენიანების დეტალური გეგმის არსებობის შემთხვევაში – ამ გეგმის ფარგლებში შეთანხმებულ გამწვანების პროექტს;

ბ) გამწვანების მინიმალური კოეფიციენტით განსაზღვრულს ფართობს, გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობას და დახასიათებას (მათ შორის, ხნოვანება, გარშემოწერილობა, სიმაღლე), გამწვანების პროექტის დასრულების თარიღს, გაშენებული მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობისთვის პასუხისმგებელ პირს, ფოტომონტაჟის სახით მოცემულ გამწვანების პროექტის გამოსახულებას;

გ) დამატებითი საინფორმაციო დაფის ამსახველ ფოტოსურათებს, რომელზედაც მითითებულია ინფორმაცია სამშენებლო ობიექტზე გამწვანების მინიმალური კოეფიციენტით განსაზღვრული ფართობის ათვისების, გამწვანების პროექტის ძირითადი ასპექტებისა და პარამეტრების შესახებ.

2. ეს მუხლი არ ვრცელდება ინდივიდუალურ საცხოვრებელ სახლებსა და იმ შენობა-ნაგებობების არქიტექტურულ პროექტებზე, რომელთა შეთანხმებაც მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის იმ ფუნქციურ ზონაში, რომელშიც გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი განსაზღვრული არ არის.

3. სამშენებლო ნებართვის მფლობელმა, ნებართვის დადგენილი წესით გაცემიდან 10 დღის ვადაში არსებული საინფორმაციო დაფის გვერდით უნდა განათავსოს სხვა, დამატებითი საინფორმაციო დაფა, რომელზედაც უნდა მიეთითოს ინფორმაცია სამშენებლო ობიექტზე გამწვანების მინიმალური კოეფიციენტით განსაზღვრული ფართობის ათვისების, გამწვანების პროექტის ძირითადი ასპექტებისა და პარამეტრების შესახებ (გარდა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებისა და იმ შენობა-ნაგებობების არქიტექტურული პროექტებისა, რომელთა შეთანხმებაც მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის იმ ფუნქციურ ზონაში, რომელშიც გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი განსაზღვრული არ არის), კერძოდ:

ა) გამწვანების მინიმალური კოეფიციენტით განსაზღვრული ფართობი;

ბ) გამწვანების პროექტის შეთანხმების თარიღი;

გ) გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობა და დახასიათება (მათ შორის, ხნოვანება, გარშემოწერილობა, სიმაღლე);

დ) გამწვანების პროექტის დასრულების თარიღი;

ე) ინფორმაცია გაშენებული მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობისთვის პასუხისმგებელი პირის შესახებ;

ვ) გაშენებული მწვანე ნარგავების მოვლის ხანგრძლივობა;

ზ) შეთანხმებული გამწვანების პროექტის მაკეტი ან/და გამოსახულება ფოტომონტაჟის სახით.

მუხლი 5. მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებით გათვალისწინებული დაგეგმილი გამწვანების პროექტი

1. მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებით გათვალისწინებულია დაგეგმილი გამწვანების პროექტის წარდგენა, მასში უნდა აღიწეროს სავარაუდო გამწვანების პროექტი.

2. დაგეგმილი გამწვანების პროექტი უნდა მოიცავდეს:

ა) ინფორმაციას დაგეგმილი გამწვანების შესახებ, რომელშიც აღწერილია სავარაუდო გამწვანების პროექტი. გარდა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებისა;

ბ) ექსპერტის დასკვნას მიწის ნაკვეთზე არსებული მწვანე ნარგავის/ნარგავების აღწერისა და ხარისხობრივი შეფასების შესახებ;

გ) ტოპოგრაფიულ გეგმას, რომელზედაც აღნიშნულია მწვანე ნარგავები ექსპერტის დასკვნით მინიჭებული ნომრების მიხედვით.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" და „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტები არ მოითხოვება იმ ფუნქციურ ზონაზე, რომელშიც გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი განსაზღვრული არ არის.

მუხლი 6. პირობები და კრიტერიუმები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს მწვანე ნარგავების ხარისხობრივ შეფასებაზე დასკვნის გამცემი უფლებამოსილი პირი

1. მწვანე ნარგავების ხარისხობრივ შეფასებაზე დასკვნის გამცემ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული განათლებისა და კვალიფიკაციის მქონე ფიზიკური პირი, რომელიც რეგისტრირებულია მუნიციპალიტეტის მიერ წარმოებულ შესაბამის რეესტრში.

2. ექსპერტის რეესტრში რეგისტრაციისთვის საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:

ა) უმაღლესი ან პროფესიული განათლება შემდეგი მიმართულებებიდან ერთ-ერთში: აგრონომია, დენდროლოგია, ეკოლოგია, ბიოლოგია, მეტყევეობა, ლანდშაფტის არქიტექტურა, მებაღეობა, გარემოს დაცვა, სატყეო საქმე;

ან

ბ) არანაკლებ 3 წლიანი სამუშაო გამოცდილება მწვანე ნარგავების მოვლის, აღრიცხვის, მცენარეთა დაცვის, მებაღეობის ან გამწვანების სფეროში.

3. რეესტრში ექსპერტის რეგისტრაციისთვის დაინტერესებულმა პირმა მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარადგინოს:

ა) განცხადება;

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) კვალიფიკაციის ან/და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

4. მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია ცნოს სხვა მუნიციპალიტეტის რეესტრში რეგისტრირებული ექსპერტის მიერ გაცემული დასკვნა.

მუხლი 7. საკომპენსაციო რგვის განხორციელების წესი

1. მოჭრილი მწვანე ნარგავის სანაცვლოდ საკომპენსაციო რგვა ხორციელდება იმავე ან მუნიციპალიტეტის მიერ განსაზღვრულ სხვა ტერიტორიაზე.
2. დაინტერესებული პირი ვალდებულია: ა) დარგოს მინიმუმ იმდენი ნერგი, რამდენი მწვანე ნარგავის მოჭრის უფლებაც მიიღო; ბ) დარგოს წიწვოვანის შემთხვევაში მინიმუმ 2 მეტრის, ფოთლოვანის შემთხვევაში მინიმუმ 2.5 მეტრის სიმაღლის ნერგები.
3. რგვა უნდა განხორციელდეს: ა) მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურთან შეთანხმებით; ბ) მცენარის არასავეგეტაციო პერიოდში; გ) აგროტექნიკური ნორმების დაცვით; დ) მუნიციპალიტეტის წარმომადგენლის დასწრებით.
4. დარგული ნარგავების მოვლის ვალდებულება განისაზღვრება 2 წლის ვადით. გახმობის შემთხვევაში მესაკუთრე ვალდებულია განახორციელოს განმეორებითი რგვა.
5. მუნიციპალიტეტი ახორციელებს მონიტორინგს წელიწადში ორჯერ.